

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

**ოქმი N5**

ქ. ვანი თავისუფლების N 65

3 ივლისი 2019 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

**დღის წესრიგი**

1. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოს თემში მცხოვრებ დანტე ქავთარაძის განცხადების განხილვის შესახებ .

მომხს: კობა ტოხვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

მომხს: კობა ტოხვაძე

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### *მოხმინეს :*

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ კომისიის წევრებს გააცნო დანტე ქავთარაძის განცხადება, რომელიც ითხოვს ა(ა)იპ ვანის „ინტელექტუალური“ დაფუძნებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვანის მოსწავლე ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლებას ასევე ვანის მოსწავლე ახალგაზრდებში წიგნიერებისა და ცოდნის წახალისებას.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ჩვენ მივესალმებით ასეთ ინტელექტუალურ თამაშების დაფუძნებას, რომელიც სამომავლოდ ჩვენი მომავალი თაობისთვის საფუძვლიანი და ნაყოფიერი იქნება ცოდნის გასაღმავებლად.

### **დაადგინეს:**

კომისიის წევრებმა განიხილა წარმოდგენილი განცხადება და მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი გადაეზავნოს ვანის მუნიციპალიტეტის მერიას რეაგირებისათვის.

*/დანართი N2/*

### *მოხმინეს :*

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კობა ტოხვაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, კერძოდ:

1.ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაცია 2019 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

2.ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

3.ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ახალი სასწავლო წლის ინფორმაციის მოსმენა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

*/დანართი N3/*

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე